მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის გახსნა

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

2017 წლის 24 სექტემბერს 12:00 საათზე გაიხსნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი, რომელიც უკვე მესამე წელია ტარდება. ფესტივალში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აქტიურადაა ჩართული და საზოგადოებას მრავალფეროვან და საინტერესო აქტივობებს სთავაზობს.

ფესტივალი 4 ოქტომბრამდე გრძელდება და მრავალ ღონიძიებას მოიცავს. გახსნის დღეს რიყეზე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კუთხესთან დამთვალიერებელს საშუალება ექნება იხილოს შემეცნებითი პროგრამა "როგორ იქმნებოდა ხელნაწერი წიგნი შუა საუკუნეების საქართველოში". ასევე ქაღალდის დამზადების პროცესი, დამზადებულ ქაღალდზე ტექსტის გადაწერა ძველი ქართული კალიგრაფიული ნიმუშების მიხედვით, ხელნაწერი წიგნის აკინძვა და მისი შემკობა. აღსაღნიშნავია რომ აღწერილ პროცესში მნახველს საშუალება ექნება თვითონ ჩაერთოს და საკუთარი ხელით დაამზადოს ქაღალდი.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიზანია საზოგადოებას, გასნაკუთრებით კი ახალგაზრდებს პრაქტიკული გზით მიაწოდოს ის ცოდნა, რომელიც საუკუნეების მანძილზე იყრიდა თავს ქართულ უნიკალურ ხელნაწერებში. სწორედ ამიტომ შეირჩა იმ პროცესების წარდგენა მნახველის წინაშე, რომელიც აღწერს ხელნაწერი წიგნის შექმნას.

ეტრატის შემდეგ საუკუნეების მანძილზე საქართველოში ერთ-ერთ ძირითად საწერ მასალას ქაღალდი წარმოადგენდა. ქაღალდზე ნაწერი უძველესი ქართული

ხელნაწერი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერშია დაცული (sin. 34. X ს.). საქართველოში ქაღალდზე გადაწერილი უძველესი ქართული ხელნაწერი XI საუკუნისაა. დღეისათვის ცნობილია, რომ ადგილობრივი წარმოების ქაღალდი საქართველოში არ იყო. შემოჰქონდათ დაუმუშავებელი ანუ ხამი ქაღალდის სახით, ხოლო მისი დამუშავება - სახამებლის წასმა, ადგილობრივ, გადამწერის ან მისი დამხმარე პირის მიერ სრულდებოდა. საქართველოში გავრცელებული იყო სხვადასხვა ქვეყნიდან შემოსული ქაღალდი. ევროპული ქაღალდებიდან დადასტურებულია ფრანგული (XVIII ს.) და იტალიური (XVს., XVIIს.), აღმოსავლურიდან - სპარსული (XVს., XVIს.).

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მარიამ ჯაბიძე
577 977 199